

დოქტორანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!!!

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დოქტორანტურაში შემდეგი სადოქტორო კვლევის პროგრამების განსახორციელებლად:

1. „ბარბაყ-მუხლქვეშა სეგმენტის რევასკულარიზაცია წამლით დაფარული ბალონით (DEB Drug-Eluting Baloon) – ეფექტურობა და უსაფრთხოება“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი ოთარ ურუშაძე
აკადემიური დოქტორი მედიცინაში ზაზა ლაზარაშვილი

2. „სეფსისთან ასოცირებული კრიტიკული დაავადებების პოლინირო-მიოპათიის კლინიკური და ელექტროფიზიოლოგიური პრედიქტორები“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი მარინა ჯანელიძე,
პროფესორი ვიქტორ კლაუს ტოიკა, ვიურცბურგის
უნივერსიტეტის ნევროლოგიის დეპარტამენტის
ემერიტუს დირექტორი

3. „ენდომეტრიუმის მიკროგარემოს ჰორმონული, პროლიფერაციულ-აპოპტოზური და ადგილობრივი იმუნური რეაქციების თავისებურებები ენდომეტრიუმის სიმსივნისწინარე და სიმსივნურ პათოლოგიებში“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელი:* ასოც. პროფესორი ზაზა ბოხუა

4. „ცერვიკალურ დონეზე ვერტებროსტენოზით განპირობებული მიელოპათიის მქონე პაციენტებში ქირურგიული მკურნალობის ჩვენება დიფუზურ-ტენზორული ტომოგრაფიის (D.T.I.) გამოყენებით, პოსტოპერაციული შედეგები“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელი:* პროფესორი შოთა ინგოროყვა

5. „პროპროტეინ კონვერტაზა სუბტილიზინ კექსინი 9-ს (PCSK9) როლი სისტემური ათეროსკლეროზული დაზიანების პათოგენეზსა და კლინიკური თავისებურებების ასპექტში“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელი:* ასოც. პროფესორი ნონა კაკაურიძე

6. „ქრონიკული სპონტანური ურტიკარიის პერსონალიზებული მართვა ანთებითი ბიომარკერებისა და ანტი-IgE მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი თინათინ ჩიქოვანი
პროფესორი მაია გოთუა

7. „ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ჰეპატოპროტექტორული აქტივობის შესწავლა ღვიძლის ტოქსიური დაზიანების დროს (ექსპერიმენტული კვლევა)“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელი:* ასოც. პროფესორი ნინა ლობჯანიძე

8. „მზრის რბილი ქსოვილების დაზიანების მართვა ფიზიკური აგენტების კომბინირებული ზემოქმედებით“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი ლელა მასხულია

ასოც. პროფესორი ნატალია პავლიაშვილი

9. „ფონიატრიული მახასიათებლების ცვლილებები და მათი მექანიზმები პროფესიონალ მომღერლებსა და პედაგოგებში“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი მიხეილ ჯაში

ასოც. პროფესორი ნატალია პავლიაშვილი

- *სამეცნიერო კონსულტანტი:* აკადემიკოსი ზურაბ ქევანიშვილი

10. „ენდომეტრიუმის ინტრაეპითელური ნეოპლაზიების მოლეკულური მახასიათებლები და პროგნოზული მარკერები პერიმენოპაუზურ ასაკში“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელი:* ასოც. პროფესორი გიორგი თევდორაშვილი

11. „საკვერცხის გერმინაციული წარმოშობის სიმსივნეების ფენოტიპური თავისებურებები და პროლიფერაციულ-აპოპტოზური ინდექსის მახასიათებლები“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელი:* ასოც. პროფესორი გიორგი თევდორაშვილი

12. „ზოგიერთი გენის მუტაციის როლი გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის განვითარებაში ქართულ პოპულაციაში და მოდიფიკაციის პერსპექტივები“

- *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი მათა ბერიძე

პროფესორი ჰენრი ჰოლდენი, ლონდონის სამეფო კოლეჯის ნეიროგენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

- *სამეცნიერო კონსულტანტი:* ასოც. პროფესორი ეკა კვარაცხელია

13. „ერთროციტების მემბრანაზე განლაგებული ცილების ცვალებადობის ინფორმაციულობა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს დიაგნოსტიკაში“.

- *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი კონსტანტინე მარდალეიშვილი

პროფესორი თამარ სანიკიძე

- *სამეცნიერო კონსულტანტი:* პროფესორი დავით მეტრეველი

14. „ეუტოპიური და ექტოპიური ენდომეტრიუმის შედარებითი ფენოტიპური მახასიათებლები ადენომიოზის დროს“.

- *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი გიორგი ბურკაძე

პროფესორი დავით გაგუა

15. „ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის თავისებურებები სხვადასხვა მოლეკულური ქვეტიპის მქონე სადინროვანი ინვაზიური კარცინომის პირველად კერასა და მეტასტაზურ ლიმფურ კვანძებში“.

- *სამეცნიერო ხელმძღვანელი:* პროფესორი გიორგი ბურკაძე

• *სამეცნიერო კონსულტანტი:* ასოც. პროფესორი ირაკლი კობრიძე

16. „პაროდონტის დაავადებებისა და მდგომარეობების ურთიერთკავშირი ყბა-კბილთა სისტემის ანომალიებთან“

• *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი მანანა ივერიელი

პროფესორი თინათინ მიქაძე

17. „მცენარე თრიმლის ანტიმიკრობული აქტივობის შედარებითი დახასიათება ენდოდონტიური დაავადებების მართვისას“

• *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* ასოც. პროფესორი ნათია ნიჟარაძე

ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ქეთევან შალაშვილი

18. „ქოლგოსანთა ოჯახის საქართველოში მოზარდი ზოგიერთი სახეობის ფიტოქიმია და ბიოლოგიური აქტივობა“

• *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი დალი ბერაშვილი

კრისტინა სკალიცკა-ვოზნიაკი, ლუბლინის სამედიცინო
უნივერსიტეტის ბუნებრივი ნედლეულის კვლევის
ლაბორატორიის ხელმძღვანელი

19. „ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში ნიტროფურანების ნარჩენების განსაზღვრის სითხოვანი ქრომატოგრაფიული მეთოდის შემუშავება და ვალიდაცია“

• *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* ასოც. პროფესორი თამარ ჩიკვილაძე

ფარმაციის მეცნ. დოქტორი ქეთევან ბარამიძე

20. „საქართველოში ინტროდუცირებული გვარი მაჰონიას (*Mahonia Nutt*) სახეობების ალკალოიდების შესწავლა“

• *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი დავით ჭინჭარაძე

აკადემიური დოქტორი ფარმაციაში ნინო ვაჩნაძე

21. „მწვანე გელების (ჰიდროგელის, ოლეოგელის, ემულგელის და ბიგელის) დიზაინი, ტექნოლოგია, სტანდარტიზაცია და ბიოლოგიური შეფასება“

• *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი დავით ჭინჭარაძე

ასისტ. პროფესორი ლაშა ბაკურიძე

22. „ანტიმიკოზური ნანოფანქრების დიზაინი, ტექნოლოგია და ბიოლოგიური შეფასება“

• *სამეცნიერო ხელმძღვანელი:* ასოც. პროფესორი გულნარა მიქაია

23. „წამლის გვერდითი მოქმედების მონიტორინგის (ფარმაკოვიჟილანსის) ეროვნული სისტემის შემუშავების სამეცნიერო საფუძვლები“

• *სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი თამაზ ჭუმბურიძე

ასისტ. პროფესორი ნინო იმნაძე

24. „დასაქმებულ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მახასიათებლების შეფასება“

• **სამეცნიერო ხელმძღვანელები:** ასოც. პროფესორი ეკატერინე მირველაშვილი
აკადემიური დოქტორი მედიცინაში ანა სხვიტარიძე

• **სამეცნიერო კონსულტანტი:** ასოც. პროფესორი მარინა ციმაკურიძე

25. „არაგადამდები ქრონიკული დაავადებების (მეტაბოლური სინდრომი, რესპირაციული დაავადებები) რისკის კორელატების კომპლექსური კვლევა ზემო იმერეთის ტერიტორიაზე“

• **სამეცნიერო ხელმძღვანელები:** ასოც. პროფესორი მარინა ციმაკურიძე
პროფესორი ალექსანდრე ქისტაური

• **სამეცნიერო კონსულტანტი :** ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ორმოცაძე

კონკურსი მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,

ბ) გამოცდას სპეციალობაში და უცხოურ ენაში (ტესტირება, გასაუბრება).

შენიშვნა: უცხოურ ენაში, კერძოდ, ინგლისურ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 26 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს #23/12 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესის“ პირველი მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედ სერტიფიკატს (<https://tsmu.edu/ts/content/2/50/12/30/0/0>).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება თსსუ–ის რექტორის სახელზე;
2. განცხადება (სააპლიკაციო ფორმა);
3. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;

4. უმაღლესი სამედიცინო განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ასლი;
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. CV ან კადრების აღრიცხვის ფურცელი (სურათით და დადასტურებული ბეჭდით);
8. ფოტოსურათის (3×4) ელექტრონული ვერსია.
9. ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედი სერტიფიკატის წარმოდგენა სავალდებულოა 35 წლამდე ასაკის იმ პირებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ კონკურსში მონაწილეობა მიიღონ სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 26 ნოემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს #23/12 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ენების ფლობის საერთო ევროპული წესის (CEFR) შესაბამისად. ამასთან, TOEFL iBT – ის მინიმალური ზღვარი შეადგენს 79 ქულას, IELTS Academic-ის - 6.5-ს, „Cambridge English“-ის - 176 ქულას; სერტიფიკატი „Cambridge English“ გაცემული უნდა იყოს დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატში „Cambridge English“ ქულა მითითებული არ არის, მაშინ დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს სერტიფიკატი „Cambridge English: Advanced (CAE). ამასთან, სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში (<https://tsmu.edu/ts/content/2/50/12/30/0/0>).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ 2020 წლის 25 ივნისიდან 27 ივლისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) ელექტრონული ფორმატით (pdf ფაილი) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურში ელექტრონულ მისამართზე: t.tkeshelashvili@tsmu.edu
n.vepkhvadze@tsmu.edu

განცხადების და სააპლიკაციო ფორმის ნიმუში თან ერთვის (დანართი 1; დანართი 2).

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს, ტელ.: 254 24 66; 555 449 396).